

ტექნიკური დავალება

1. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი, აღწერილობა და საპროექტო მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (იხ. დანართი №1).
2. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილი სამუშაოების შესაბამისად.
3. შესასრულებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში.
4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართის სახით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით (განმარტებითი ბარათით, ნახაზებითა და ხარჯთაღრიცხვით).
5. სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.
6. სამუშაოს შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მოთხოვნის შემთხვევაში, დასამტკიცებლად უნდა იქნეს წარმოდგენილი და შეთანხმებული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა და სხვა შესაბამისი საგნები მინიმუმ 1 ერთეული. იმ შემთხვევაში, თუ, წარმოდგენილი მასალა არ იქნება მოწონებული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა და სხვა შესაბამისი საგნები.
7. სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების - „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ სრული დაცვით.
8. სამუშაოების ან მისი ნაწილის დასრულების შემდგომ, შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს სამუშაოების შემოწმებას.
9. შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება აისახება სამუშაოების შესრულების აქტ(ებ)ში_ ფორმა №2-ში.
10. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარება საკუთარი ხარჯებით.
11. ტენდერში გამარჯვებულმა სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა და შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 25 (ოცდაექვსი) კალენდარული დღის ვადაში, **ამასთან ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა უნდა დასრულდეს ხარჯთაღრიცხვის ღირებულების მინიმუმ 50 % თანხის შესაბამისი სამუშაოები.**
12. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებითა და სახსრებით, 10 (ათი) დღის განმავლობაში გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნარჩენებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.
13. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირების შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

